ქართული კომპანია შპს „ვასოილი“ აწარმოებს მოლაპარაკებებს ნავთობპროდუქტების მიწოდების თაობაზე თურქმენულ „სახელმწიფო ნავთობკორპორაციასთან“. „ვასოილს“ ესაჭიროება 2000 ტონა „საზღვაო მაზუთის“ მიწოდება 2015 წლის მაისის ბოლომდე. საქონლის ფასად იგი ვარაუდობს გემზე დატვირთვის დრისათვის არსებული მაზუთის საბაზრო ფასს.

მოლაპარაკებების შედეგად მხარეები მიდიან შეთანხმებამდე, რომლის მიხედვითაც ნავთობკოროპრაციამ უნდა უზრუნველყოს დასახელებული საქონლის მიწოდება ბათუმის პორტში „ვასოილის“ მიერ ნომინირებული გემზე. საქონლის ხარისხი, რომლის პარამეტრებიც დეტალურადაა გაწერილი, ხელშეკრულებით უნდა შემოწმდეს ბათუმში ვაგონებიდან გემის რეზერვუარში გადატვირთვის შემდეგ.

„ვასოილის“ წარმომადგენელი ჩადის თურქმენეთში და ესწრება 34 ვაგონის დატვირთვას. ამავე დროს ხდება ვაგონებში ჩასხმული საქონლის ხარისხის სინჯების აღება, რომელიც უნდა შემოწმდეს „ნავთობკორპორაციის“ ლაბორატორიაში. დალუქული ვაგონები იგზავნება საქართველოსკენ.

30 მაისს მთავრდება ბათუმში „ვასოილის“ მიერ დაფრახტული გემის დატვირთვა, თუმცა თურქმენეთიდან ჩამოსულ ვაგონებს აკლია სამი, რადგან ამ აზერბაიჯანის საბაჟო ორგანოებმა ისინი გააჩერა პროდუქტში დასაშვებზე მეტი წყლის ოდენობის შემცველობის გამო და უკან გააგზავნა თურქმენეთში. გემზე ჩატვირთული პროდუქტშიც ასევე ხელშეკრულებით დასაშვები 1%იანი წყლის შემცველობის ნაცვლად აღმოჩნდა 3%. გემი, რომელიც, ასევე დატვირთულია სხვა საოქონლითაც, უნდა გაემგზავროს ევროპისაკენ და „ვასოილის“ წარმომადგენელი გემის მოცდენის დიდი ჯარომების ასაცილებლად ხელს აწერს გემის გასვლისთვის აუცილებელ დოკუმენტებს. წყალთან დაკავშირებულ პრეტენზიებზე „ნავთობკორპორაციის“ მენეჯერი აცხადებს, რომ ვაგონების დატვირთვაზე მყიდველის წარმომადგენლის დასწრება გამორიცხავს უთანხმოებას.

განსაზღვრეთ რა მოთხოვნები შეიზლება ჰქონდეთ მხარეებს ერთმანეთის მიმართ?

<u>კაზუსის ამოხსნისას შესაძლებელია სამოქალაქო კოდექსის გამოყენება</u>